

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება N[•]

თარიღი: [•]

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი [•]%.
[•]%
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი [•]%.
[•]%

ფინანსური ხარჯები

- ვადის ბოლოს შესატანი თანხა [•]
(ძირითადი თანხა, საპროცენტო
სარგებელი)

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- კრედიტის მთლიანი თანხა და ვალუტა [•]
- მომხმარებლის მიერ გადასახდელი [•]
მთლიანი თანხის ოდენობა
- კრედიტის გასატანი თანხა ფინანსური [•]
ხარჯების გამოკლებით
- კრედიტის ვადა [•]
- საკრედიტო ხელშეკრულების
მოქმედების ვადა [•]
- საკომისიო კრედიტის წინსწრებით 0%
(ვადაზე ადრე) დაფარვისათვის ან სხვა
ბანკის სესხით კრედიტის
რეფინანსირებისთვის
- პირგასამტეხლო კრედიტის ძირითადი ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ
თანხის ან/და მასზე დარიცხული ვადაგადაცილებულ დღეზე არაუმეტეს ნარჩენი
პროცენტის გადახდის ვადაგადაცილებაზე ძირითადი თანხის 0.27%-ისა. ვადაგადაცილების
დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში
დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ
გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის
1.5-მაგ ოდენობას.

„კლიენტი“ / „დამგირავებელი“

„ბანკი“ / „მოგირავნე“

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი და ნებისმიერი სახის საკომისიო. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებების შესახებ, ცვლილებებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, გარდა კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, ცვლილებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, კლიენტის ინფორმირება მოხდება ინტერნეტბანკის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეტყობინების გაგზავნის გზით. ასევე, შესაძლებელია კლიენტის ინფორმირება როგორც წერილობით, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებით (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება და ა.შ.).

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მისამართზე customercare@pashabank.ge.

უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს.

ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი [•] %

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება N [●]

ქ.[●]

თარიღი: [●]

ერთი მხრივ, სს "პაშა ბანკი საქართველო" (ს/ნ 404433671, მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N37მ, 0179, (032)2 222 525, info@rebank.ge)(შემდგომში - „ბანკი“) ს(შემდგომში „ბანკი“), წარმოდგენილი [●] (პ/ნ [●]) მიერ და მეორე მხრივ, [●] შემდგომში „კლიენტი“ ან/და „დამგირავებელი“ (პირადი ნომერი: [●], იურიდიული მის.: [●], ფაქტობრივი მის.: [●], ტელ.: [●], ელ.ფოსტა: [●]), ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით, იმ პირობით, რომ ბანკის სასარგებლოდ - გირავნობის უფლებით დაიტვირთება ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული საგანი და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილი იქნება თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს უზრუნველყოფის საგნიდან.

1.2 ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში - „გენერალური ხელშეკრულება“) განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება გენერალური ხელშეკრულების ყველა პირობა. მსესხებელი აცხადებს, რომ დეტალურად იცნობს, ეთანხმება და უერთდება გენერალური ხელშეკრულების (მასში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) ყველა პირობას, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე - <https://rebank.ge/legal?type=general>.

1.3 თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ სესხის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ სრულად არ დაფარავთ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

2. კრედიტის ძირითადი პირობები

- 2.1. კრედიტის გაცემის თარიღი - [●]
- 2.2. კრედიტის მთლიანი თანხა და ვალუტა - [●]
- 2.2¹ მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა - [●]
- 2.2² კრედიტის ტიპი - საბანკო კრედიტი, ანაბრით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი
- 2.3. კრედიტის ვადა - [●]
- 2.3¹ საკრედიტო ხელშეკრულების ვადა - [●]
- 2.4. წლიური საპროცენტო განაკვეთი - [●]%
- 2.4¹ საპროცენტო განაკვეთის ტიპი - ფიქსირებული
- 2.5. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - [●] %
- 2.5¹ ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - [●] %
- 2.6. კრედიტის გასატანი თანხა ფინანსური ხარჯების გამოკლებით - [●]
- 2.7. კრედიტის მიზნობრიობა - პირადი ხარჯებისთვის
- 2.8. კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის თარიღი - [●]
- 2.9. ვადის ბოლოს გადასახდელი თანხა (ძირითადი თანხა, საპროცენტო სარგებელი) - [●]ლარი
- 2.10. პირგასამტეხლო კრედიტის ძირითადი თანხის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ვადაგადაცილებისთვის - ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-ისა. ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში

„კლიენტი“ / „დამგირავებელი“

„ბანკი“ / „მოგირავნე“

***წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.**

დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

2.11. საკომისიო წინსწრებით (ვადაზე ადრე) დაფარვისთვის ან სხვა ბანკის კრედიტით წინსწრებით დაფარვისთვის - 0%

2.12 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტის, კერძოდ, ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლოს.

2.13 მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულების დასაფარად შემოტანილი/ჩარიცხული თანხიდან ან/და უზრუნველყოფის საგნის მეშვეობით კრედიტის დაფარვისას, პირველ რიგში იფარება საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ – კრედიტზე დარიცხული პროცენტი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. ამასთან, კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს აღნიშნული რიგითობა.

2.14 კრედიტის წინსწრებით სრულად დაფარვა არ მოხდება ავტომატურად, თუ კლიენტის ანგარიშზე არის აღნიშნულისათვის საჭირო თანხა. აღნიშნულისთვის კლიენტმა უნდა მიმართოს ბანკს.

2.15 იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდის დღე ემთხვევა უქმე დღეს (მათ შორის შაბათს), კლიენტისგან შენატანი მიიღება მომდევნო სამუშაო დღეს. აღნიშნული გარემოება არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად და კლიენტს დამატებით არ დაერიცხება რაიმე ტიპის საკომისიო ან/და პირგასამტეხლო. ამასთან, თუ სესხი იფარება ანაბრის თანხიდან (უზრუნველყოფის საგნიდან) და ანაბრის ვადა იწურება სესხის დაფარვისათვის დადგენილ ვადაზე ადრე, ანაბრის ვადის ამოწურვისას, ბანკი უფლებამოსილია სესხის დაფარვისათვის საჭირო თანხა მიმართოს სატრანზიტო ანგარიშზე და სესხი დაიფარება გრაფიკით განსაზღვრულ თარიღში.

2.16. კრედიტის ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, შემცირდება ვადის ბოლოს გადასახდელი თანხა და ბანკი უფლებამოსილია დამატებითი თანხმობის გარეშე შესაბამისი ცვლილება ასახოს გადახდის გრაფიკში.

2.17 თუ კლიენტი სარგებლობს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტით და მის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად დასაფარად, კლიენტი ვალდებულია ბანკს სამუშაო დღის ბოლომდე (18.00 საათამდე) აცნობოს წერილობით, ფილიალში, ინტერნეტბანკით ან ქოლ-ცენტრის მეშვეობით თუ რომელი ვალდებულების დაფარვა სურს უპირატესად, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიფარება ის ვალდებულება, რომლის ნარჩენი თანხაც ნაკლებია.

3. გირავნობის ძირითადი პირობები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტი უზრუნველყოფილია. მოგირავნის სასარგებლოდ იტვირთება მსესხებლის მიერ ბანკში განთავსებული ანაბარი (შემდგომში „გირავნობის საგანი“), კერძოდ:

- 3.1.1 ანაბრის ტიპი: [●]
- 3.1.2 ანაბრის ხელშეკრულების ნომერი: [●]
- 3.1.3 ანაბრის ხელშეკრულების დადების თარიღი: [●]
- 3.1.4 ანაბრის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: [●]
- 3.1.5 ანაბარზე განთავსებული თანხის მოცულობა: [●]
- 3.1.6 ანგარიში, რომელზეც განთავსებულია ანაბარი: [●]

3.2. გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა შეადგებს - [●] ლარს, რომელიც მოიცავს კრედიტის ძირითადი თანხას, დარიცხული პროცენტს, დარიცხულ პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულებით (არაჯეროვნად, დაგვიანებით) გამოწვეულ ზიანს, შესაძლო სასამართლო/არბიტრაჟის და სასამართლოს გარეშე ხარჯებს, ასევე აღსრულების ხარჯებს.

„კლიენტი“ / „დამგირავებელი“

„ბანკი“ / „მოგირავნე“

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

3.3 კლიენტი ითვალისწინებს, რომ ბანკი უფლებამოსილია, არ დაუშვას კლიენტის მიერ უზრუნველყოფის საგნის ან მისი ნაწილის გატანა 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

3.4 კლიენტი/დამგირავებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

3.4.1 გირავნობის საგანი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოა, მესამე პირებს არ გააჩნიათ მის მიმართ რაიმე ტიპის მოთხოვნა და თანახმაა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, 3.1 პუნქტით განსაზღვრული საგანი ბანკის სასარგებლოდ დაიტვირთოს პირველი რიგის გირავნობით.

3.4.2 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისათვის მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა/ნებართვა და მის მიმართ არ მიმდინარეობს ისეთი სამართლებრივი პროცესები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

3.5 კლიენტი/დამგირავებელი ვალდებულია:

3.5.1 უზრუნველყოს ყველა იმ ხარჯის გადახდა, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებასთან ან/და მის სათანადო წესით რეგისტრაციასთან.

3.5.2 არ განახორციელოს ისეთი ქმედება (მათ შორის, ვადაზე ადრე არ გაიტანოს გირავნობის საგანი სრულად ან/და ნაწილობრივ), რომელმაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.5.3 ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ დააგირავოს, არ გაასხვისოს ან/და რაიმე სხვა ფორმით არ განკარგოს გირავნობის საგანი.

3.5.4 უზრუნველყოს იმ ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება ბანკს წარმოეშვას მესამე პირების მიერ გირავნობის საგანთან დაკავშირებით გაცხადებული მოთხოვნების საფუძველზე.

3.5.5 დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს გირავნობის საგნის ნებისმიერი ფორმით დატვირთვის ან მოსალოდნელი დატვირთვის შესახებ ან/და ნებისმიერი სხვა გარემოების შესახებ რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს გირავნობის საგანზე, გირავნობის ნამდვილობასა და ბანკის მიერ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

3.6. იმის გათვალისწინებით, კლიენტის მიერ ჯეროვნად სრულდება თუ არა ნაკისრი ვალდებულებები, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მსესხებლის გაფრთხილების შემდეგ განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია, რაც გამოიხატება 3.1.6 პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშზე განთავსებული თანხიდან დავალიანების თანხის უაქცეპტო წესით ჩამოწერაში და ბანკის მოთხოვნის დაფარვაში. თუ უზრუნველყოფის საგანი სესხისაგან განსხვავებულ ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია დამგირავებლის ხარჯით განახორციელოს თანხის კონვერტაცია გადახდის დღისათვის ბანკის მიერ განსაზღვრული კომერციული კურსის შესაბამისად;

3.7 იმ შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარავად, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ჩაითვლება და ბანკს უფლება ექნება ნარჩენი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მსესხებლის კუთვნილი სხვა ქონებიდან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასეთ შემთხვევაში, თუ ბანკი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა ან შეწყვეტისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებით ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობით დაფარვის მომენტამდე.

4. სხვა დებულებები

4.1. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეცვალოს ნებისმიერი სახის საკომისიო ან/და წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა. ყოველწლიურად გადახედოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთის ოდენობას ან/და იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საერთო ეკონომიკური ვითარება, ან გამოიცემა ნორმატიულ/ინდივიდუალური აქტი საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით ან/და მოხდება სხვა სახის ნორმატივების, მოთხოვნების ან ლიმიტების ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე (გარდა კანონმდებლობით

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

გათვალისწინებული შემთხვევებისა) ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, მათ შორის - საპროცენტო განაკვეთი, წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით.

4.2. ბანკის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის ცალმხრივად შეცვლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შესახებ არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, მოხდება კლიენტის ინფორმირება ინტერნეტბანკის, ელ.ფოსტის, წერილობით, SMS-ით ან/და სხვა ტექნიკური საშუალებით. კლიენტი უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს ბანკის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს და შეტყობინებით განსაზღვრული 2 ან/და 1 თვიანი ვადის (იმის მიხედვით, ცვლილებები შეეხება ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, თუ სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდას) გასვლამდე სრულად დაფაროს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება. თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ უფლებით, შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად. შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებულ ცვლილებებზე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალებებით კლიენტს ეცნობება ვადაგადაცილებისა ან სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების წარმოშობის, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტის/შეჩერების, ასევე, კრედიტის შესაძლო გასხვისების შესახებ - ასეთი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

4.2¹. თუ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტი და უზრუნველყოფის საგანი სხვადასხვა ვალუტაშია, სავალუტო კურსის ისეთი ცვლილებისას, როდესაც ბანკის შეხედულებით საფრთხე ექმნება ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს უზრუნველყოფის საგნის გაზრდა ან/და ვალდებულების სრული/ნაწილობრივ დაფარვა. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ბანკის მოთხოვნის საფუძველზე და მის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება უზრუნველყოფის საგნის მოცულობის გაზრდა ან/და ვალდებულების სრული/ნაწილობრივი დაფარვა, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და ვალდებულება დაფაროს უზრუნველყოფის საგნიდან. თუ უზრუნველყოფის თანხა არასაკმარისია, დანაკლისი შეივსება კლიენტის ნებისმიერ ანგარიშზე არსებული თანხიდან, ასევე, თუ უზრუნველყოფის საგანი (ანაბრის თანხა) სესხისაგან განსხვავებულ ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ხარჯზე მოახდინოს თანხის კონვერტაცია, ბანკში არსებული კომერციული კურსის შესაბამისად.

4.3. ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს „მიმართოს ბანკს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებ-გვერდის (www.rebank.ge) საშუალებით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად კლიენტს შეუძლია ბანკს მიმართოს ნომერზე - (+995 322) 22 25 25. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებში. პრეტენზია განიხილება ერთი თვის ვადაში, მომხმარებელთა გამოცდილების მართვის დეპარტამენტის მიერ. შესაბამისი გადაწყვეტილება კლიენტს ეცნობება დაუყოვნებლივ, წერილობით ან ელექტრონულად (კლიენტთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტურად). პრეტენზიის განხილვის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში და/ან დისტანციურად. პრეტენზიასთან დაკავშირებით კომუნიკაცია ხორციელდება ბანკის ელ-ფოსტის მისამართზე: customercare@pashabank.ge.

4.4. სს „პაშა ბანკი საქართველო“ (მისამართი - ილია ჭავჭავაძის გამზ. N37მ, ქ. თბილისი, საქართველო) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

4.5. ბანკი უფლებამოსილია:

„კლიენტი“ / „დამგირავებელი“

„ბანკი“ / „მოგირავნი“

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს და მისი პირობები, შეიძლება იცვლებოდეს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის.

4.5.1. არ გასცეს ან/და დროებით შეზღუდოს კრედიტის გაცემა, თუ მსესხებელს ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს აღმოაჩნდება სამართლებრივი შეზღუდვა, მათ შორის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა.

4.5.2. კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ინფორმაცია კლიენტის ვალდებულებების შესახებ და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია გადასცეს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, მათ შორის, სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“, რაც იწვევს კლიენტის აღრიცხვას საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში.

4.5.3. მიმდინარე ვალდებულებების შესრულების პერიოდში განახორციელოს კლიენტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე მისი გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

4.6. კლიენტი დამატებით აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე სრულად გაეცნო კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო ფინანსურ ხარჯს, ასევე, ინფორმირებულია კრედიტით სარგებლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების შესახებ, კერძოდ, იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის და ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, დააყადაღოს კლიენტის კუთვნილი უძრავ/მოძრავი ქონება, მათ შორის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და საბანკო ანგარიშები. კლიენტის არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით განახორციელოს კლიენტის კუთვნილი უძრავ/მოძრავი ქონების, მათ შორის არამატერიალური ქონებრივი სიკეთის რეალიზაცია.

4.7. კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, ძიებების რაოდენობის შეუზღუდავად, დაამუშაოს მომხმარებლის (კლიენტის) შესახებ საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ებ)ში, მათ შორის, სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოში“ (ს/კ 204470740) დაცული ინფორმაცია.

4.8 კლიენტი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება ბანკისათვის შეწყვეტამდე 1 (ერთი) თვით ადრე შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია, შეტყობინებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში სრულად დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.

4.9 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, თუ დავის საგნის ჯამური ღირებულება ნაკლებია 8 000 (რვა ათასი) ლარზე ან მეტია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) განსახილველად და გადასაწყვეტად გადაცემა სასამართლოს, სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ხოლო, თუ დავის საგნის ჯამური ღირებულება მეტია 8 000 (რვა ათასი) ლარზე და ნაკლებია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) - განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს - შპს „დავების განმხილველ ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204547348).

4.10 ბანკის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგეს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2, 0114).

4.11 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად. ყოველ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.